

თამაში შედგებოდა ხუთი ტურისაგან. ბოლო V ტური განკუთვნილი იყო გუნდის კაპიტნებისათვის.

I ადგილზე გავიდა ლიცეუმის XII კლასის გუნდი, II ადგილზე - XI<sup>2</sup> კლასის გუნდი, ხოლო III ადგილზე XII<sup>1</sup> კლასის გუნდი. გამარჯვებული გუნდის წევრებს ლიცეუმის დირექტორმა მიულოცა წარმატება და გადასცა სიგელები, მოზარდებში ინტელექტუალური დონის ამაღლების ხელისშეწყობის მიზნით ფინალში გასული სამი გუნდის მონაწილეები წახალისა სამდღიანი ექსკურსიის დაფინანსებით (მარშრუტის არჩევა მათ სურვილზე).

გამარჯვებული გუნდის საუკეთესო მოთამაშემ, გუნდის კაპიტანმა, ირაკლი ჯორბენაძემ სიგელთან ერთად მიიღო სიმბოლური პრიზი - ბუ.